**ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;**

„გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს კანონის ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ’’, საქართველოს კანონის ,,მეწარმეთა შესახებ’’, საქართველოს კანონის „დაზღვევის შესახებ“, საქართველოს კანონის ,,ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“, საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის №223 ბრძანების ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე’’ ცოდნა; “.

**ბ) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ე“ ინგლისური ენის ცოდნა.“;

**12. მე-15 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ვ“ ინგლისური ენის ცოდნა.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის**

**ზედამხედველობის სამსახურის უფროსი**

**იური დოლიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

## ბრძანება №37

2016 წლის 11 ნოემბერი, ქ. თბილისი

**საზოგადოებრივი დაინტერესების პირების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების დროებითი უფლებამოსილების მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე**

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

**მუხლი** 1

დამტკიცდეს „საზოგადოებრივი დაინტერესების პირების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების დროებითი უფლებამოსილების მინიჭების წესი“.

**მუხლი** 2

დამტკიცდეს „აუდიტორული (აუდიტური) ფირმის მიერ სდპ-ის აუდიტის ჩატარების დროებითი უფლებამოსილების მინიჭების შესახებ განაცხადის ფორმა“ თანდართული დანართის შესაბამისად.

**მუხლი** 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის**

**ზედამხედველობის სამსახურის უფროსი**

**იური დოლიძე**





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## საზოგადოებრივი დაინტერესების პირების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების დროებითი უფლებამოსილების მინიჭების წესი

**მუხლი** 1

1. ეს წესი განსაზღვრავს ბუღალტრული არღიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში – „სამსახური“) მიერ საზოგადოებრივი დაინტერესების პირების (შემდგომ – სდპ) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების დროებითი უფლებამოსილების მინიჭების საფუძვლებსა და პროცედურებს.

2. ამ ბრძანების მოქმედება ვრცელდება:

ა) იმ აუდიტორულ ფირმაზე, რომელსაც „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ – კანონი) ამოქმედების თარიღისთვის ჰქონდა სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლებამოსილება, რაც დასტურდება „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონის შესაბამისად აკრედიტებული ორგანიზაციის სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრით, ან

ბ) რომელმაც 2013 წლის 1 იანვრიდან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე ჩაატარა სავალდებულო აუდიტი, ან

გ) 2016 წლის 25 ივნისიდან 2016 წლის 1 ნოემბრამდე ჩაატარა სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

**მუხლი** 2

1. სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების დროებითი უფლებამოსილების მინიჭების საფუძველია ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ, სდპ-ის აუდიტის ჩატარების დროებითი უფლებამოსილების მინიჭების თხოვნით, არაუგვიანეს 2016 წლის 30 ნოემბრამდე სამსახურისათვის წარდგენილი განაცხადი.

2. წარდგენილი განაცხადისა და განაცხადზე თანდართული დოკუმენტაციის განხილვის პროცესში სამსახური ითვალისწინებს:

ა) სამსახურისათვის წარდგენილ განაცხადში მოცემულ ინფორმაციას ხარისხის კონტროლის სისტემის შესახებ, რაც უნდა შეესაბამებოდეს ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტის 1 (ISQC1) მოთხოვნებს.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) საჭიროების შემთხვევაში, იმ მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, რომელსაც ჰზარდებოდა აუდიტორული დასკვნა/ანგარიში;

გ) აუდიტორული ფირმის მიერ სამსახურის მოთხოვნით წარდგენილ სხვა ინფორმაციას/დოკუმენტაციას (მათ შორის, ინგლისურენოვანი რედაქციის).

**მუხლი 3**

1. სამსახურის მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ გაატაროს წარმოდგენილი განცხადება და გასცეს მისი მიღების ბარათი, რომელიც ადასტურებს განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენისა და სამსახურის მიერ განაცხადის მიღების ფაქტს. წარმოების ვადის ათვლა იწყება განმცხადებლის მიერ განცხადებისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის სამსახურში წარდგენის დღიდან.

2. განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას დაინტერესებული აუდიტორულ ფირმაზე და ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას/დოკუმენტაციას.

3. სამსახურისთვის წარსადგენ განაცხადს უნდა ერთოდეს:

ა) ინფორმაცია შესრულებული და დაგეგმილი აუდიტის გარიგებების შესახებ;

ბ) ინფორმაცია სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში მონაწილე თანამშრომელთა შესახებ;

გ) ინფორმაცია ხარისხის კონტროლის სისტემის სახელმძღვანელო დოკუმენტების (სახელმძღვანელოების, პოლიტიკების და პროცედურების) შესახებ;

დ) ასეთის არსებობის შემთვევაში, აუდიტორულ ფირმასთან მიმართებაში ჩატარებული უკანასკნელი წინა ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის/ შემოწმების/ შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ინფორმაცია (მათ შორის, ინგლისურენოვანი რედაქციის).

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირისათვის ამ ბრძანებითა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით წარმოდგენილი დოკუმენტები ან/და ინფორმაცია არ წარმოადგენს განცხადების მიღებაზე უარის თქმის საფუძველს, იგი შესაძლებელია გახდეს სამსახურის მიერ ამ წესით დადგენილ ვადაში წარმოების შეჩერების ან შეწყვეტის საფუძველი.

5. თუ აუდიტორული ფირმა სამსახურს არ წარუდგენს კანონით ან ამ ბრძანებით გათვალისწინებულ დოკუმენტს ან/და ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია აუდიტორული ფირმისათვის სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების დროებითი უფლებამოსილების მინიჭებისათვის, სამსახური აუდიტორულ ფირმას შეუჩერებს განცხადების განხილვის პროცესს და განუსაზღვრავს არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადას, რომლის განმავლობაშიც აუდიტორულმა ფირმამ დამატებითი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია უნდა წარადგინოს.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

6. იმ შემთხვევაში, თუ სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების დროებითი უფლებამოსილებით დაინტერესებული პირის მიერ განაცხადის წარდგენის დროისათვის აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებულ იურიდიულ პირზე არ არის დაწყებული ან დაწყებულია და არ დასრულებულა სარეგისტრაციო წარმოება, სამსახური იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის განხილვის შეჩერების თაობაზე. თუ წარმოების შეჩერების ვადაში აღნიშნული პირი არ/ვერ დარეგისტრირდა აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების დროებითი უფლებამოსილებით დაინტერესებული პირის მიმართ წარმოება წყდება და სამსახური იღებს გადაწყვეტილებას უფლებამოსილების მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

7. სამსახური უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება წარმოების შეჩერების შესახებ, თუ:

ა) განცხადებას არ ერთვის ან/და არასრულად არის წარმოდგენილი ამ წესით, კანონითა და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტებით განსაზღვრული დოკუმენტი ან/და ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად;

ბ) უფლებამოსილების მინიჭებისათვის წარდგენილი დოკუმენტაცია, მათი კანონიერების შესწავლის მიზნით სამსახურის მიერ გადაგზავნილია შესაბამის უწყებაში/ორგანოში;

გ) არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

8. წარმოების შეჩერების პერიოდში, წარმოების შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იღებს გადაწყვეტილებას წარმოების განახლების შესახებ.

9. წარმოების შეჩერების, განახლების და შეწყვეტის თაობაზე სამსახურის უფროსის მიერ გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც სამსახურის მიერ ეგზავნება დაინტერესებულ პირს სამსახურის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2 დღის ვადაში.

**მუხლი** 4

1. აუდიტორული ფირმისათვის მინიჭებული სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების დროებითი უფლებამოსილება მოქმედებს სამსახურის მიერ დროებითი უფლებამოსილების მინიჭების დღიდან არაუგვიანეს 2017 წლის 31 დეკემბრისა.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. იმ ხელშეკრულებით, რომლის მხარეც არის ქონების მმართველი, განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების დადასტურებასთან დაკავშირებული აუდიტორული მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება 2018 წლის 1 იანვრამდე აქვთ „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით დამტკიცებულ „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა ნუსხაში“ მითითებულ აუდიტორულ ფირმებს, რომლებსაც ამ წესის შესაბამისად მიენიჭებათ დროებითი უფლებამოსილება.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დადგენილებით დამტკიცებულ ნუსხაში მითითებულ პირებს იმ ხელშეკრულებით, რომლის მხარეც არის ქონების მმართველი, განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების დადასტურებასთან დაკავშირებული აუდიტორული მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება უნარჩუნდებათ ამ კანონის ამოქმედების თარიღისთვის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუდიტორული მომსახურების დასრულებამდე, ხოლო ამ კანონის ამოქმედების შემდეგ 2017 წლის 1 იანვრამდე დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუდიტორული მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება – 2017 წლის 1 მარტამდე.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დადგენილებით დამტკიცებულ ნუსხაში მითითებულმა აუდიტორულმა ფირმებმა სდპ-ებისათვის შეასრულონ 2016 წლის 1 ნოემბრამდე დადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხელშეკრულებებით 2016 წლის საანგარიშგებო ან წინა პერიოდთან მიმართებით ნაკისრი ვალდებულებები.

5. აუდიტორული ფირმა, რომელსაც სამსახურის მიერ მიენიჭა აუდიტის განხორციელების დროებითი უფლებამოსილება, ვალდებულია არაუგვიანეს 2017 წლის 1 ოქტომბრამდე მიმართოს სამსახურს ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნით. მინიჭებული დროებითი უფლებამოსილება მოქმედებს სამსახურის მიერ აუდიტორულ ფირმაში ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის საბოლოო შედეგების გამოვლენამდე.

6. სამსახური ვალდებულია დაასრულოს აღნიშნული უფლებამოსილების მქონე იმ აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი, რომელმაც მას ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნით მიმართა, და შესაბამისი შედეგები რეესტრში 2018 წლის 1 იანვრამდე ასახოს.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

7. სამსახური ვალდებულია დაასრულოს იმ აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი, რომელმაც მას ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნით მიმართა, და გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში შესაბამისი შედეგები რეესტრში ასახოს, მაგრამ არაუგვიანეს 2018 წლის 1 იანვრამდე.

8. სამსახური უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება უფლებამოსილების მინიჭებაზე უარის თქმისა და წარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ:

ა) წარმოების განმავლობაში განმცხადებელმა ან მისმა საამისოდ უფლებამოსილმა პირმა მოითხოვა წარმოების შეწყვეტა;

ბ) ამ ბრძანებით განსაზღვრული ვადაში არ იქნა წარმოდგენილი წარმოების შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი ინფორმაცია ან დოკუმენტი;

გ) განაცხადზე თანდართული დოკუმენტაცია გამოცემული, მიღებული ან შედგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, ცნობილი გახდა სარეგისტრაციო განაცხადზე თანდართული დოკუმენტის გაუქმების ფაქტი;

ე) არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

**მუხლი** 5

სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების დროებითი უფლებამოსილება უქმდება, თუ:

ა) აღნიშნული უფლებამოსილების მქონე პირი 2017 წლის 1 ოქტომბრამდე არ მიმართავს სამსახურს ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნით;

ბ) სამსახურმა განხორციელებული ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგების საფუძველზე უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო;

გ) აუდიტორული ფირმა არ აკმაყოფილებს კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

**მუხლი** 6

1. განაცხადის შევსებისას, საჭიროების შემთხვევაში, პირი უფლებამოსილია პასუხებისათვის გამოყოფილ გრაფებს/სტრიქონებს დაამატოს შესაბამისი ველები.

2. შევსებული განაცხადი თანდართულ ინფორმაციასთან ერთად ამობეჭდილი და უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული (არსებობის შემთხვევაში – ფირმის ბეჭდით) სახით წარედგინება სამსახურს.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 7

წარმოებისას სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს საბჭოსა და სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამსახურის გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

**დანართი**

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის**

**ზედამხედველობის სამსახურს**

აუდიტორული (აუდიტური) ფირმის სახელწოდება:

ფირმის სამართლებრივი ფორმა:

ფირმის საიდენტიფიკაციო ნომერი:

ფირმის ფაქტობრივი მისამართი:

დირექტორის (მთავარი აღმასრულებელი პირის) სახელი და გვარი:

ხარისხის კონტროლზე პასუხისმგებელი პირის სახელი და გვარი:

ფირმის ტელეფონის ნომერი:

ფირმის ელექტრონული ფოსტა:

ფირმის ვებგვერდი:

საერთაშორისო ქსელის ვებგვერდი:

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

**აუდიტორული ფირმის მიერ სდპ-ის აუდიტის ჩატარების დროებითი უფლებამოსილების მინიჭების შესახებ**

გთხოვთ, განიხილოთ თანდართული „ა“, „ბ“ და „გ“ დანართების შესაბამისად წარმოდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია და მომანიჭოთ საზოგადოებრივი დაინტერესების პირების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების დროებითი უფლებამოსილება.

განმცხადებლის ხელმოწერა: -----------------------------------------

თარიღი: -----------------------------------------



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი „ა“

**ინფორმაცია შესრულებული და დაგეგმილი აუდიტის გარიგებების შესახებ**

1. ინფორმაცია „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 13.07.2012, სარეგისტრაციო კოდი: 260000000.05.001.016869), განსაზღვრული 2015 წლის ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში წინა წლების ფინანსური ანგარიშგების, სავალდებულო აუდიტზე გაფორმებულ ხელშეკრულებათა შესახებ, რომელიც დაიდო არაუადრეს 2013 წლის 1 იანვრისა, დამკვეთის, საიდენტიფიკაციო ნომრების, ხელშეკრულებების ვადების მითითებით;

2. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია სდპ-ებთან 2016 წლის ან შემდგომ პერიოდზე, ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებულ 2016 წლის 1 ნოემბრამდე დადებულ გარიგებებზე, სდპ-ების სახელწოდებების, საინდენტიფიკაციო ნომრების, ხელშეკრულებების ვადების მითითებით;

3. ინფორმაცია სდპ-ებთან 2016 წლის ან შემდგომ პერიოდზე, ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებულ, 1 ნოემბრის შემდგომ დადებული გარიგებების შესახებ, სდპ-ების სახელწოდებების, საინდენტიფიკაციო ნომრების, ხელშეკრულებების ვადების მითითებით.

4. ფირმის მიერ 2013 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 ნოემბრამდე დასრულებული, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ორი (აქედან „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 13.07.2012, სარეგისტრაციო კოდი: 260000000.05.001.016869) განსაზღვრული სულ მცირე ერთი სავალდებულო) გარიგების შესახებ შემდეგი დოკუმენტების ასლები/ინფორმაცია (მათ შორის, ინგლისურენოვანი რედაქციის):

ა) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გარიგების ხელშეკრულება;

ბ) გარიგების ბიუჯეტი;

გ) აუდიტის სტრატეგია და გეგმა;

დ) დამკვეთის ხელმძღვანელობის ოფიციალური წერილი;

ე) დამკვეთის ფინანსური ანგარიშგება აუდიტორულ დასკვნასთან ერთად;

ვ) გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფა ან დოკუმენტირების, მათ შორის, არქივაციის საშუალება.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი „ბ“

**ინფორმაცია სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში მონაწილე თანამშრომელთა შესახებ**

1. სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში მონაწილე გარიგების პარტნიორ(ებ)ის ვინაობა, კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის სფეროში;

2. სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში მონაწილე გარიგების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირის ვინაობა, თანამდებობობა, კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის სფეროში;

3. გარდა 1-ლ-მე-2 პუნქტებში მითითებულისა, სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში მონაწილე მაღალი და საშუალო რანგების თანამშრომლების ვინაობა, თანამდებობები, კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის სფეროში;

4. სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში მონაწილე ტექნიკური სპეციალისტების (ექსპერტების) ვინაობა და კვალიფიკაცია, მათ შორის:

ა) მართვის და კონტროლის საინფორმაციო სისტემის აუდიტის სპეციალისტები;

ბ) ფინანსური ანგარიშგების, გარიგების მიმოხილვის სპეციალისტები;

გ) შეფასების სპეციალისტები;

დ) აქტუარები (დაზღვევის სუბიექტების აუდიტის შემთხვევაში);

ე) სხვა ექსპერტები.

5. ინფორმაცია სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში მონაწილე თანამშრომლების ბოლო პერიოდის განგრძობითი განათლების შესახებ.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი „გ“

ინფორმაცია ფირმაში დანერგილი ხარისხის კონტროლის სისტემის სახელმძღვანელო დოკუმენტების (სახელმძღვანელოები, პოლიტიკები და პროცედურები) შესახებ

| სახელმძღვანელო დოკუმენტის სახეობა ხარისხის კონტროლის სისტემის ელემენტის მიხედვით | სახელწოდება | განახლების სიხშირე | ბოლო განახლების თარიღი | ავტორის ვინაობა/თანამდებობა ან დასახელება | ფირმაში დანერგვაზე პასუხისმგებელი პირის ვინაობა, თანამდებობა | დანერგვაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო მონაცემები |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეთიკური მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო დოკუმენტ(ებ)ი | | | | | | |
| ახალ დამკვეთთან ურთიერთობის დამყარებასთან, არსებულ დამკვეთთან ურთიერთობის გაგრძელებასთან და კონკრეტულ გარიგებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო დოკუმენტ(ებ)ი | | | | | | |
| შრომითი რესურსების მართვასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო დოკუმენტ(ებ)ი | | | | | | |
| გარიგების შესრულებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო დოკუმენტ(ებ)ი | | | | | | |
| მონიტორინგის მოთხოვნის შესრულებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო დოკუმენტ(ებ)ი | | | | | | |

ვადასტურებ, რომ ფირმაში დანერგილია ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებით (ISQC1) მოთხოვნილი, ზემოაღნიშნული სახელმძღვანელო დოკუმენტები (სახელმძღვანელოები, პოლიტიკები, პროცედურები)

პასუხისმგებელი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის

## უფროსის ბრძანება №140

2016 წლის 30 ნოემბერი, ქ. თბილისი

**,,საზოგადოებრივი დაინტერესების პირების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების დროებითი უფლებამოსილების მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე" ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 11 ნოემბრის №37 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

**მუხლი** 1

„საზოგადოებრივი დაინტერესების პირების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების დროებითი უფლებამოსილების მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე" ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 11 ნოემბრის №37 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 14.11.2016 წ., 260000000.64.076.016006) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი შინაარსის ცვლილება:

1. **მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების დროებითი უფლებამოსილების მინიჭების საფუძველია ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ, სდპ-ის აუდიტის ჩატარების დროებითი უფლებამოსილების მინიჭების თხოვნით, არაუგვიანეს 2016 წლის 30 ნოემბრისა, სამსახურისათვის წარდგენილი განაცხადი.".

2. **მე-3 მუხლის**:

**ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. სამსახურის მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ გაატაროს წარმოდგენილი განცხადება და გასცეს მისი მიღების ბარათი, რომელიც ადასტურებს განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენისა და სამსახურის მიერ განაცხადის მიღების ფაქტს. სამსახურისათვის არაუგვიანეს 2016 წლის 30 ნოემბრისა წარდგენილი განაცხადის საფუძველზე, სდპ-ის აუდიტის ჩატარების დროებითი უფლებამოსილების მინიჭება ხდება 2016 წლის 31 დეკემბრამდე.";



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„5. სამსახური უფლებამოსილია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით მოითხოვოს სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული, კანონით ან ამ ბრძანებით გათვალისწინებული დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც აუცილებელია აუდიტორული ფირმისათვის სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების დროებითი უფლებამოსილების მინიჭებისთვის.“;

**გ) მე-8 და მე-9 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„8. წარმოების შეჩერების პერიოდში, წარმოების შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში პირის მიმართ წარმოება განახლდება.

9. გადაწყვეტილება წარმოების შეჩერების და შეწყვეტის თაობაზე სამსახურის მიერ ეგზავნება დაინტერესებულ პირს სამსახურის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2 დღის ვადაში.“.

**3. მე-4 მუხლის მე-7 პუნქტი ამოღებულ იქნეს.**

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის**

**ზედამხედველობის სამსახურის უფროსი**

**იური დოლიძე**






PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

# ბრძანება №130/04

2016 წლის 15 ნოემბერი, ქ. თბილისი

**„საქართველოს საბანკო დაწესებულებებში საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 17 მარტის №44/01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და 67-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„საქართველოს საბანკო დაწესებულებებში საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 17 მარტის №44/01 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის დანართი №2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2**

ამ ბრძანების დაუყოვნებელი ამოქმედება განპირობებულია კომერციული ბანკების საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების აუცილებლობით

**მუხლი 3**

ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**საქართველოს ეროვნული ბანკის**

**ვიცე–პრეზიდენტი (მოვალეობის შემსრულებელი)**

**არჩილ მესტვირიშვილი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №2

| ბანკის დასახელება | IBAN კოდი |
|---|---|
| საქართველოს ეროვნული ბანკი | NB |
| სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველო“ | AZ |
| სს „ბაზისბანკი“ | BS |
| სს „ბანკი ქართუ“ | CR |
| სს „სილქ როუდ ბანკი“ | BT |
| სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ | VT |
| სს „ზირაათ ბანკის“ თბილისის ფილიალი | ZB |
| სს „თიბისი ბანკი“ | TB |
| სს „ტერაბანკი“ | KS |
| სს „პროკრედიტ ბანკი“ | PC |
| სს „საქართველოს ბანკი“ | BG |
| სს „ლიბერთი ბანკი“ | LB |
| სს „ხალიკ ბანკი საქართველო“ | HB |
| სს ბანკი „რესპუბლიკა“ | BR |
| სს „იშბანკი საქართველო“ | IS |
| სს „პაშა ბანკი საქართველო“ | PB |
| სს „ფინკა ბანკი საქართველო“ | FG |



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# შემოსავლების სამსახურის უფროსის

# ბრძანება №33122

2016 წლის 25 ნოემბერი, ქ. თბილისი

## „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების ინსტრუქციის“ (დანართი №1) $50^2$ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი $50^2$. ინსპექტირების აქტი**

1. საბაჟო დეკლარაციის ინსპექტირების აქტი ივსება დეკლარაციის შემოწმებისას კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენის ან/და საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების შემთხვევაში და მასში აისახება ინფორმაცია გატარებული ღონისძიებების შესახებ.

2. დეკლარაციის გაბათილების შემდგომ საქონლის ხელახალი დეკლარირების შემთხვევაში ინსპექტირების აქტი ივსება როგორც გაბათილებულ, ასევე ხელახლა წარდგენილ დეკლარაციაში.

3. ინსპექტირების აქტი ივსება „ ASYCUDA-ში“ ელექტრონულად.

4. ინსპექტირების აქტის შევსებისას აქტის ზედა ნაწილში ავტომატურად ჩნდება დეკლარაციის ძირითადი სეგმენტის მონაცემებით შევსებული ფანჯრები. ინსპექტირების აქტის დანარჩენი ფანჯრებიდან აუცილებლად უნდა შეივსოს ფანჯარა „ინფორმაცია“. კერძოდ, კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში მასში უნდა აღიწეროს გამოვლენილი სამართალდარღვევა და შედეგი (ჯარიმის ოდენობა, დაჯარიმების დოკუმენტის (ოქმის ან ბრძანების) ნომერი და თარიღი), ხოლო საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების შემთხვევაში – ინფორმაცია კორექტირების შედეგის თაობაზე. დეკლარაციის გაბათილების შემდგომ საქონლის ხელახალი დეკლარირებისას ამავე ფანჯარაში უნდა მიეთითოს გაბათილებული დეკლარაციის რეგისტრაციის C ნომერი.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5. საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების შემთხვევაში შევსებული ინსპექტირების აქტი ამოიბეჭდება და წარედგინება დეკლარანტს, რომელიც კორექტირების აქტზე აფიქსირებს პოზიციას, რასაც ადასტურებს ხელმოწერით.“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**შემოსავლების სამსახურის უფროსი**
**გ. თაბუაშვილი**

## შემოსავლების სამსახურის უფროსის
## ბრძანება №33298

2016 წლის 25 ნოემბერი, ქ. თბილისი

### „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №12):

**ა) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ$^{1}$“ ქვეპუნქტი:**

„ზ$^{1}$) „უფლებამოსილი ექსპორტიორის“ სტატუსის მისაღებად კანდიდატის განაცხადის განხილვა-ანალიზი, „უფლებამოსილი ექსპორტიორების“ შესახებ მონაცემების დამუშავება-ანალიზი;“;

**ბ) მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ$^{1}$“ ქვეპუნქტი:**

„თ$^{1}$) „უფლებამოსილი ექსპორტიორის“ სტატუსის მისაღებად კანდიდატის განაცხადის განხილვა-ანალიზი, „უფლებამოსილი ექსპორტიორის“ სტატუსის მიჭების ან მის მინიჭებაზე უარის თქმის მიზნით გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების წარმართვა, „უფლებამოსილი ექსპორტიორების“ შესახებ მონაცემების დამუშავება-ანალიზი;“.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**შემოსავლების სამსახურის უფროსი**
**გიორგი თაბუაშვილი**

## შემოსავლების სამსახურის უფროსის

## ბრძანება №33299

2016 წლის 25 ნოემბერი, ქ. თბილისი

### „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების პირველი პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების ინსტრუქციის“ (დანართი №1) 47-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 47. საგადასახადო შეღავათების გამოყენების შემოწმება**

საგადასახადო შეღავათების გამოყენების შემოწმება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო დეკლარაციაში მითითებულია ასეთი შეღავათებით სარგებლობის შესახებ. ამისათვის საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი ამოწმებს სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისას წარდგენილ დოკუმენტებს, რაც აუცილებელია შეღავათების მისაღებად საქონლის წარმოშობის ქვეყნის დადასტურებისათვის (წარმოშობის სერტიფიკატი, „ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის“ ასოცირების შესახებ 2014 წლის 27 ივნისის შეთანხმების I ოქმით გათვალისწინებული „წარმოშობის დეკლარაცია“ ან „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ 2007 წლის 21 ნოემბრის შეთანხმების II ოქმით გათვალისწინებული „ანგარიშფაქტურის (ინვოისის) დეკლარაცია“) და



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „დეკლარირების კლასიფიკატორის“ (დანართი №2) მე-10 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „480“ გრაფა:

| | |
|---|---|
| „480 | „ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის“ ასოცირების შესახებ 2014 წლის 27 ივნისის შეთანხმების I ოქმით გათვალისწინებული „წარმოშობის დეკლარაცია“ ან „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ 2007 წლის 21 ნოემბრის შეთანხმების II ოქმით გათვალისწინებული „ანგარიშფაქტურის (ინვოისის) დეკლარაცია“.“ |

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**შემოსავლების სამსახურის უფროსი**
**გიორგი თაბუაშვილი**

# დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობები

| | სფერო | დადგენილი ნორმა |
|---|---|---|
| 1 | მეტალურგია | |
| | მანგანუმშემცველი მადნიდან მანგანუმის შენადნობის დამზადებისას არსებული მანგანუმის საწარმოო დანაკარგი | წარმოებაში ჩაშვებული მანგანუმის 20% |
| | შავი ლითონის ჯართისგან ნამზადის დამზადებისას არსებული საწარმოო დანაკარგი | 12.5% |
| | ნამზადიდან არმატურის დამზადებისას არსებული საწარმოო დანაკარგი | 1.5% |
| 2 | აქციზური მარკები | |
| | ალკოჰოლური სასმელის წარმოებისას/იმპორტისას გამოყენებული აქციზური მარკების დაზიანების საწარმოო დანაკარგი | 2% |
| | სიგარა/სიგარეტის წარმოებისას/იმპორტისას გამოყენებული აქციზური მარკების დაზიანების საწარმოო დანაკარგი | 1% |
| | სიგარილას წარმოებისას/იმპორტისას გამოყენებული აქციზური მარკების დაზიანების საწარმოო დანაკარგი | 2% |
| 3 | ბამბა | |
| | ბამბის ნედლეულის პენტვისას საწარმოო დანაკარგი | წარმოებაში ჩაშვებული ნედლეულის 65% |



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

| | | |
|---|---|---|
| 4 | **თხილი** | |
| | კალენდარული წლის განმავლობაში შეძენილი/მოყვანილი თხილის შრობის საწამოო დანაკარგის წლიური საშუალო ოდენობა | 22% |
| 5 | **მინის წარმოება** | |
| | მინის წარმოებაში საწარმოო დანაკარგი (ხურებითი დანაკარგი) | წარმოებაში ჩაშვებული კაზმის 17% |
| | მინის წარმოებაში გამოყენებული კვარც-მინდვრიშპატური ქვიშის ბუნებრივი დანაკარგი (ტენიანობა) | 7% |
| | მინის წარმოებაში გამოყენებული დოლომიტის ბუნებრივი დანაკარგი (ტენიანობა) | 3% |
| | მინის წარმოებაში გამოყენებული კირქვის ბუნებრივი დანაკარგი (ტენიანობა) | 1% |
| 6 | **ნავთობისა და ნავთობპროდუქტების რაოდენობის გაზომვის მეთოდების დასაშვები ცდომილების ნორმები** | |
| 7 | **შაქრის წარმოება** | |
| | მყარ მდგომარეობაში მყოფი შაქრის ნედლეულის დახურულ საწყობში შენახვისას საწარმოო დანაკარგი თვეში | 0,031% |
| | შაქრის ნედლეულის ვაგონებიდან გადმოტვირთვისა და ტარის გარეშე შიდა საქარხნო ტრანსპორტირების დროს საწარმოო დანაკარგი | 0,139% |
| | შაქრის ნედლეულის გადამუშავებისას საწარმოო ტექნოლოგიური დანაკარგი | 1.581% |
| 8 | **მარცვლეული** | |
| | მარცვლეულის გადამუშავებისას საწარმოო დანაკარგი | 0,7% |
| | მარცვლეულის რეცხვისას საწარმოო დანაკარგი | 0,1% |
| 9 | **კვერცხის წარმოება** | |
| | კვერცხის წარმოებაში კვერცხის მტვრევის საწარმოო დანაკარგი | 3% |
| 10 | **თაბაშირ-მუყაოს ფილების წარმოებისას თაბაშირის ქვის ნედლეულის თერმული დამუშავება** | |
| | თაბაშირ-მუყაოს ფილების წარმოებისას, თაბაშირის ქვის ნედლეულის თერმული დამუშავების საწარმოო დანაკარგი (დეჰიდრატაცია) | 11% |
| 11 | **ნატურალური წვენის წარმოება** | |
| | ხილის კონცენტრატებიდან ნატურალური წვენის წარმოებისას (“Tetrapak“ და “Elopak“ დანადგარების/ჩამოსხმის ხაზების გამოყენებით) საწარმოო დანაკარგი | ერთ ჩამოსხმაზე 300 ლიტრი |



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

| | | |
|---|---|---|
| 12 | **ჩაუმქრალი კირის წარმოება** | |
| | ჩაუმქრალი კირის წარმოებისას საწარმოო დანაკარგი | 28% |
| 13 | **ნავთობპროდუქტების ბუნებრივი დანაკარგის ნორმები** | |
| | ოპერაციების დასახელება | დანაკარგი წონიდან %-ში |
| | **ბენზინზე** | |
| | საზღვაო გადაზიდვები | 0.35 |
| | სარკინიგზო გადაზიდვები | 0.24 |
| | საავტომობილო გადაზიდვები | 0.12 |
| | რეზერვუარში შენახვა (მიწისზედა რეზერვუარში 1 თვეზე მეტი ვადით შენახვის გარდა) | 0.25 |
| | მიწისზედა რეზერვუარში შენახვა 1 თვეზე მეტი ვადით | 0.35 |
| | **დიზელზე** | |
| | საზღვაო გადაზიდვები | 0.35 |
| | სარკინიგზო გადაზიდვები | 0.1 |
| | საავტომობილო გადაზიდვები | 0.05 |
| | რეზერვუარში შენახვა | 0.07 |
| | **ნავთზე** | |
| | საზღვაო გადაზიდვები | 0.35 |
| | სარკინიგზო გადაზიდვები | 0.11 |
| | საავტომობილო გადაზიდვები | 0.06 |
| | რეზერვუარში შენახვა | 0.1 |





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# va l u t is kursi

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | aSS do l ar i | 2.5738 | | -0.0001 |
| | ev r o | 2.7787 | | +0.0197 |
| | gi r vanqa ster l ingi | 3.2685 | | +0.0292 |






PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# გამოიწერეთ

# გადასახადები

მეწარმეების, საგადასახადო ინსპექტორების, აუდიტორების, ბუღალტრებისა და ყველა გადამხდელის უნივერსალური სამაგიდო ჟურნალი

**ჩვენი რეკვიზიტები:**

მიმღები: შპს ბიზნეს ინტელექტი
მიმღების IBAN ანგარიშის №:
GE21BR0000010893437601

მიმღების ბანკი: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"
ბანკის BIC კოდი: REPLGE22

2012.gadasaxadebi@gmail.com

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com




PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com